სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2025 წლის 23 სექტემბერი

ქ. სიღნაღი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №23 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში (www.matsne.gov.ge, 28/12/2024, 010250050.35.168.016420) შევიდეს ცვლილება და მე-9 მუხლს დაემატოს 4^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„4^1. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებს შეისყიდის და განახორციელებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნულ შემთხვევაში ამხანაგობებზე არ ვრცელდება ამ წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-12 და მე-13 მუხლებით დადგენილი ვალდებულებები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ჯანიკაშვილი**